

რედაქცია: სოლოლაკზე, ბლის ქუჩაზე, მედიკი შეილის სახლში, № 43  
ქანტორა რედაქციის: მედიკი შეილის სტამბაზე, მანოვის ქუჩაზე.

ხელის-მოწერა: მიიღება კანტორაში. მარევე მცხოვრებთათვის: ВЪ Типографіи. Въ редакціи газ. „Д р о с с а“.

გაზეთის ფასი: მთელის წლია—8 მან., ნახევარ წლია—4 მან. და 50 კაპ., ოთხის თვის—3 მან., ერთის თვისა—1 მან.

ყოველ დღე ორგზაბათს გარდა

# ფრეზა

ცალკე ნომერი ღირს შაშურათ

განსხადება: მიიღება ქართულს, რუსულს, სომხურს და სხვ. ენებზე.  
ფასი განსხადებისა: რიდი ასოებით ასოზე—2 კაპ., ასო-მოთურთულობის სტრიქონზე—8 კაპ., ჩვეულებრივის ცოცხროთი—5 კაპ., პატრა—4 კაპ.

რედაქციის უფლება აქვს ვაას-წორას და შეამოკლოს დასაბეჭდათ გამოგზავნილი სტატიები. დაუბეჭდელი სტატია ავტორს არ დაუბრუნდება.

სამი თვის ხელის-მოწერა

## „დროებაზე“

1 ოქტომბერიდან  
ამ 1877 დასაწყისად

მიიღება თფილისში, „დროების“ რედაქციაში (მანოვის ქუჩაზე, სტ. მედიკი შეილის სტამბაში). სხვა ქალაქებში „დროების“ აგენტებთან.

ფასი სამი თვის გაზეთისა—3 მან.

შალაქს გარევე მცხოვრებთა ვაზეთი ამ აღრესით უნდა დაიბარონ: ВЪ Типографіи. Въ редакціи газетъ „Д р о с с а“.

## ტელეგრაფები

ბრძოლის ველიდან

მანა, 13 ოქტომბერს. („ბოლოსის“ დამეშა).

„Presse“ გეაცნობებს დაწერილებით ამბავს ღენ. ბურკოს გამარჯვებისას: ათი დღეა, რაც ბურკო თავის ჯარით გადასულა მდ. ვიდზე და გამაგრებულია ტელეშთან. ლაშკარევეს მოუფიდა ბრძანება, რომ 12-ს თავის ჯარით პლენენის დასავლეთისაკენ გამოიხენილიყო. იმავე დღეს შეიქნა ზარბაზნის სროლა, რომელიც დღე-ნახევარს გაგრძელდა.

10-ს ბურკომ პლენენისაკენ გასწია, მიაღდა ოსმალის ჯარს და ბორნი ღუბნიაკთან დაამარცხა ის. ოსმალეების მხრით იყო 20 ბატალიონი და სამი ესკადრონი 15 ზარბმზნის: ამათ მოუძღოდა ახმედ-ხიელი-ფაშა.

ამ გამარჯვების გამო ოსმან-ფაშა სრულებით გარ-შემორტყმულია პლენენოში.

სულეიმან-ფაშა ბოზარჯიყში წავიდა და ხვალ შარნაში დაბრუნდება. სილისტრიის გარნიზონის მაგიერად ახლად-მოსული ჯარი დადგება ამ ციხე-ქალაქში.

ვაზეთი „Fremdenblatt“ გეატყობინებს, რომ არზრუმის ღუბერნატორი ამ ქალაქის დასაცველად ემზადება, ქალაქს ამაგრებს.

იზმაილ-ფაშამ ერთი ნაწილი თავისი ჯარისა მოფრაქ-კალესაკენ გაგზავნა იმ განზრახვით, რომ ხარკანლის გზა დიპტიროს და ამ საშუალებით რუსებს არ მისცეს ღონის-ძიება, რომ ოსმალის ჯარს გარს შემოუარონ.

მანა, 14 ღვინობისთვის. ძნინილამ იწერებთან, რომ ბოსნიის სახალხო მმართველობამ მიმართა ქრისტიანულ სახელმწიფოებს და სთხოვეს, რომ დაეხმარონ ბოსნიელებს იმათ თავისუფლებისათვის ბრძოლაში.

შუმლილამ ამბავი მოვიდა, რომ ოსმალეები ტუნისის არმიის დახმარებას მოვლიანო. ტუნისის ბეის დანდობილი კაცი იყო შუმლაში და სულეიმან-ფაშასთან მოლომპარაკება ჰქონდა.

მარსელი, 14 ოქტომბერს. მდინბურლის გერცოგის მეუღლე მალტის კუნძულზე წავიდა.

პარიში, 14 ოქტომბერს. სტამბოლილამ იწერებთან, რომ შარსში იმდენი საჭმელ-სასაქელი და საომარი მასალები არის მოგროვილი, რომ ოთხი თვის განმავლობაში ეყოფა იქაურ ოსმალის ჯარსაო.

სერბიამ გამოიხმო ოსმალეთის სამზღვრისაკენ გაგზავნილი ჯარები. ამბობენ, სერბია გაზაფხულამდინ არ გამოუცხადებს ოსმალეთს ომსა, თუ რუსეთმა კარგათ არ დაამარცხა მტერიო.

## ღმის აზვები

აზიის ბრძოლის ველიდან

მას აქეთ, რაც მუხთარ-ფაშის დამარცხების ამბავი შევიტყეთ, ჩვენ სრულიად არავითარი ოფიციალური ამბავი აღარ მოგვსლია ჩვენი ბრძოლის ველიდან. ოფიციალურად არ უცნობებიათ ჩვენთვის—თუ, ამ გამარჯვების შემდეგ, სად წავიდა ეს ჩვენი არმია, მიაღგნენ შარსს, თუ და არა საზოგადოთ რა მდგომარეობაშია იქითკენ ბრძოლის საქმე?

შველა ამ კითხვების პასუხს მენის ვაზეთის „Presse“-ის ტელეგრაფშილამ ვტყობულობთ, რომელშიაც შემდეგ ამბავს იწერებთან 7 ღვინობისთვის თფილისილამ:

„რუსის არმია შარსისაკენ გაემგზავრა. ბუშინ იქითკენ ალექსანდროპოლილამ ციხის ასალები ზარბაზნები და სხვა მასალები გაგზავნეს. ღენერალი ლაზარევი მუხთარ-ფაშის განფანტულ ჯარს მისდევს. მრთი კალონა თავის ატრიალილამ იმან არზრუმის გზის დასაქერად გაგზავნა.

„იზმაილ-ფაშამ მრთელი თავის ჯარები წაიყენა შარავენ-სარის მთებლამ. ღენერალი ტერ-ღუკასოვი კვალში მისდევს იმას ოსმალეთის სამზღვარზე.

„ოზურგეთთან დაბანაკებულ რიონის ატრიალსა და აგრეთვე არტაანის ატრიალს ბრძანება მოუვიდათ, რომ წინ გაიწიონ.“

ამავე საგნის შესახებ სხვა ახალ ამბებს აგრეთვე უცხო ქვეყნილამ ვტყობულობთ. „ჰავასის სააგენტოში“ იწერებთან 7 ღვინობისთვის:

„მრთი ნაწილი შარსისა უკვე გარ-შემორტყმულია ამ ქამად რუსის ჯარებისაგან, რომელთაც ზოგიერთის მხრით დაუშინეს ამ ციხეს ყუმბარები. შარსილამ არზრუმისაკენ გაყვანილი ტელეგრაფის მავთული რუსებმა გააფუტეს.

„მუხთარ-ფაშა ამ ქამად თავის არმიით შარსსა და სოღანლულის შუა შზინ-ზარდერში არის დაბანაკებული.“

„მოსკოვის უწყებების“ უკანასკნელს ნომერში იწერებთან:

„მთუ მართალია ის ამბავი, რომ მუხთარ-ფაშა თავის არმიის ერთი ნაწილით გამოსულა შარსილამ და სოღანლულის მთებთან გამაგრებულია, უნდა ესთქვათ, რომ ძალიან გონიერად მოქცეულა: შარსის პატარა გარნიზონიც დაიცავს, რადგან ის ბუნებით და ხელოვნურად საშინლად გამაგრებული ციხეა; შარსის აღება ჩვენ მხოლოდ შიმშილით შეგვიძლია; რაც უფრო ნაკლები ხალხი იქნება შარსში, ოსმალეთისთვის ის სჯობია, რადგან ჩვენ არ გაუჭირდებათ და ისე მალე იძულებული აღარ იქნებთან, რომ შიმშილის გამო დავემოჩილონ ამ ზამთრამდინ მანცა.

„და თუ ჩვენი ნატრა შეგვისრულდა

და ამ ზამთრამდინ ქარსი ავიღეთ, მაშინ არზრუმის გზაზე, სოღანლუღისაკენ, კიდევ ძლიერი მტერი დაგვიხვდება, რადგან მუხთარ-ფაშა მანამ კარგათ მოასწრობს, რომ საკმაო ჯარი მოაგროვოს იქ და სიმაგრეებიც დაამზადოს. მაგრამ საქმე იმაშია, რომ სოღანლუღზე ახლაც დიდი თოვლი სძევს და ამის გამო ამ ზამთარ არზრუმისაკენ ჩვენი ჯარის გალაშქრებას აღარ უნდა მოველოდეთ.“

სტამბოლისა და სხვა გაზეთებში დაბეჭდილის მუხთარ-ფაშის დეპეშიდამ ვკავობულობთ, რომ 20-ს, 21-სა და 22-ს რუსების ზრით 5,000 კაცამდინ არის სულ დაჭრილი და დახოცილი. რაღა თქმა უნდა, რომ ეს ციფრი გაზვიადებული უნდა იყოს.

ზაზეთს „Голосъ“-ში დაბეჭდილია შემდეგი ტელეგრამა 5 ლეონობისთვის იგდირილამ გაგზავნილი:

„როგორც იზმაილ-ფაშას მოუვიდა ამბავი, რომ ჩვენმა ჯარებმა 3-ს დაამარცხეს მუხთარ-ფაშის არმია, იმწამსვე თვითონაც აჰყარა ბანაკი და უკან დაწევა დაიწყო. ზორის მთებისაკენ. მტყობა, რომ იზმაილ-ფაშამ სამუდამოთ მოატოვა ჩვენი სამზღვარი. ამ ქამად იმის მოწინავე ბანაკი იწვის.“

„ქალიზმანსა და სოფ. ნახჩევანს შუა, ქუბანის ყაზახებმა დაიჭირეს ერთი ფაშა, 22 აფიცერი და 300 სალდათი ოსმალებისა სპის ზარბაზნით.“

„ჩვენი ჯარები კვალში მისდევენ იზმაილ-ფაშის ატრიადს.“

მენის გაზეთს „Presse“-ში დაბეჭდილია შემდეგი დეპეშა, რომელიც ამ გაზეთს 6 ოქტომბერს მიუღია ოფიცისილად:

„მუხთარ-ფაშის არმიილამ რუსებმა დაატყვევეს: 32 ბატალიონი, 5 არტილერიის ბრიგადა, 7 ფაშა და 100 აფიცერი, შაზი-მაჰომა—შამილის შვილი მოკლთლია. ოსმალოების მხრით 16,000 კაცია მოკლული; რუსებს კი მხოლოთ 1,000 კაცამდინა ჰყავთ დაჭრილი და მოკლული.“

ამ ტელეგრამაში მოყვანილი ცნობები, როგორც ჰხედავთ, ბევრში არ ეთანხმება ოფიციალურს ცნობებსა და თუ ვბეჭდავთ ამას, მხოლოთ იმიტომ, რომ უჩვენოთ მკითხველს—თუ სანამდინ მიალწევს ადამიანის ოცნება...“

ბელგიურს გაზეთს „Indépendance Belge“-ში დაბეჭდილია შემდეგი ცნობები ჩვენი ქვეყნილამ გადასახლებულ აფხაზებზე; ამ ცნობებს ხსენებულს გაზეთის ტრაპიზონელი კორრესპონდენტი იწერება:

„როგორც ნამდვილად შევიტყე, სულ 50,000 სულამდინ გამოსულან ქავკასილამ აფხაზები. ამათგან 28,000 სული ტრაპიზონში გამოიყვანეს და 16,000 თავი საქონელიც. ზოგიერთი ხომალდები, რომელშიაც აფხაზები ისხდნენ, ჩვენს ქალაქთან გაატარეს ზღვაში, და, როგორც მითხრეს, ესენი სტამბოლილამ მაკედონიაში გაუგზავნიათ დასახლებლად. ჩვენს ქალაქში და იმის ახლო-მახლო ადგილებში 17,000 სული დასახლეს; დანარჩენი ინებოლში და სამსუნში გაგზავნეს. ამათ ეძლევათ მთაერობისაგან მარტო პური. მუცელა და სანადი ღიდს ვნებას აძლევს საწყლებს.“

**ვეროკის ბრძოლის შედეგად**

ლონდონის გაზეთს „Times“-ში დაბეჭდილია სისტოვოდამ მიღებული კორრესპონდენცია, რომელშიაც სხვათა შორის იწერებია:

„აქ, სისტოვოში, დიდი მზადებაა,

რადგან დარწმუნებით ამბობენ, რომ ამ ზამთარში რუსეთის იმპერატორს—მიწავარი კვარტირა არ ექნება. იწვევს აფიცრები არიან ახლა აქ და ჯარისთვის სადგომებს ქარაობენ, სურსათს ამზადებენ და სხვ.“

„სისტოვოს გარშემო ამაღლებულ ადგილებს ამაგრებენ რუსები; ჩასასაფრებელს თხრილებს, ზარბაზნებს ჰმართავენ და სხვა საომარი კუთვნილება ააქეთ.“

„მრთი სიტყვით, ყველაფერი გვიტყვიცებს, რომ ამ ზამთარს რუსის ჯარი ბოლგარიაში დარჩება და გაზაფხულზე ისევ ბრძოლა დაიწყება.“

გაზეთის „Daily News“-ის სამხედრო კორრესპონდენტი იწერება ბუხარესტილამ 2 ოქტომბერს:

„ბუშინდელის დლილამ წვიმამ გადაილო და მზემ ისევ გამოჩეკთა თვლები. ახლა ისევ დაიწყებენ ლაშქარიანობაზე ლაპარაკს; მაგრამ ერთს თვესაც რომ გაატანოს კარგმა ამინდებმა, მაინც საეჭვოა, რომ ამ ერთის თვის განმავლობაში პლენენოსთან რუსებმა რამე გაარიგონ, თუ კი მართალია ის ამბავი, რომ პლენენოსა და სოფიას გზა ჯერ კიდევ შეკრული არა აქვს ოსმან-ფაშასო, და შეეკეთ-ფაშამ სამჯერ შეუგზავნა იმის არმიას დიდ-ძალი სურათი და ტყვიანთა მალთი.“

ზემოხსენებული გაზეთის რუსიყველი კორრესპონდენტი იწერება, რომ სულეიზან-ფაშა ამ ქამად ღიდს მზადებაში არის და ყველანი დარწმუნებით ამბობენო, რომ ამ რამდენიმე დღის განმავლობაში ის მთელ თავის ჯარს მოაგროვებს და მეგვიდრის არმიას თავსდაესხმებაო.

ნემეცურს გაზეთს „Tagblatt“-ში დაბეჭდილია შემდეგი დეპეშა ბორნისტუდენილამ 3-ს ოქტომბერს მიღებული:

„დღე... ღამიჯერე ჩვენ ორივესთვის აგრე სჯობია...“

„ღვალილოო!“ ამ სიტყვებმა სასოწარკვეთილებაში ჩამადლო; კი არ უნდა დაწვლებულიყო ის ჩემს ხელში, არამედ უნდა ყოფილიყო ნეტარებაში; დიან! სრულს ნეტარებაში! მაგრამ დიდგულობა, დიდგულობა! რომ სჭეროდა მას გამოჩენილი ადგილი საზოგადოებაში, აღარ დატკნებოდა ისე... ამ ნაირად ჯერ მოუშუშებელი წყლულისაგან გაფიჩნე უარესი იარა...“

უნდა ვითხრათ, რომ ქალაქი ო—ი გამოჩენილია მხიარულებით. მოგხსენებათ, რომ გუბერნიის მმართველი ყოველთვის თავის ჰანგზე მორთავს საზოგადოებას. ამ ლუბერნიის მმართველათყო თავადი ჩ., ძალიან მდიდარი და კარგი ცხოვრების მოყვარული კაცი. მგრივი იყო, თაყვანის-მცემელი ქალებისა;

**ფალტონი**

**აპალონ მარკოზიჩი**

მოთხრობა არდოვისა

**III**

— ასე ამ რიგათ გაგზნით ჩვენ ცოლქმარი და უნდა ვითხრათ, მოწყალეო ხელმწიფე, რომ მე ვიყავი ნეტარებაში. პირველათ თითქოს ყველაფერი კაცთმოყვარეობით მომდიოდა, მაგრამ სადაური კაცთ-მოყვარეობა! როგორც კი შევხედავდი, ვეტყვოდი ჩემს თავს: „აპალონ მარკოვიჩი, მშვენიერებაა შენი ცოლი!“ და სიამოვნებით გული ძგერას დამიწყებდა. მს, რაღა ბევრი გელაპარაკოთ! სიყვარული, მოწყალეო ხელმწიფე, ასი წლის ხეა, რომელიც რამდენიც არ უნდა ამოჩებო, ფესვებს ვერ ამოუგდებ...“

ამ ყოფით მივედით ჩვენ ქ. ო—ში. მრთი წელიწადი ისეთ ბედნიერებასა და მყუდროობაში გვატარეთ, რომ სად გაიბრინა ამ დრომ არც კი შემიტყვია. იმდენი მწუხარების გამოვლის შემდეგ, დიდნანს ვერ გამოკეთდა ის. პრავენ არ უნდოდა, რომ ენახა. არსად არ გამოდიოდა. მე კი მხიარული ვიყავი ამ შემთხვევით, მაგრამ მაწუხებდა კი ის, რომ სულ თან-და-თან ხმებოდა და ყველაფერს იძულებით ეკადებოდა.

მე ვიფიქრე, რომ ამისათვის გართობაა საჭირო! სასაცილო ის არის, რომ მე თვითონ დაჩოქილი ვებეჭებოდი გამოსულიყო საზოგადოებაში და ემხიარულებინა! ის კი ყოველთვის უარს მეუბნებოდა. მრთხელ ვაჯავრებულმა კიდევ მითხრა:

— შენ თვითონ არ იცი—რასა მთხოვ! ღამაცალე; რომ აგრე დავილიო ჩემი

„სხადია, რომ რუს-რუმინის ჯარი შემდეგში იერიშით აღარ მივა პლენ-ნოზე, — ამით ეს ერთობ ძვირად დაუჯდათ და სრულებით უნაყოფოთაც ჩაუვარა ამდენი ხალხის ამოწყვეტამ. რუსის აფიცრებმა დამარწმუნეს მე, რომ მთავარ-სარდლის განზრახვა ახლა ის არის, რომ მჭიდროთ გარ-შემოარტყას თავის არ-მია პლენოს, დასახმარებელი ჯარები და სურსათი არ შეეწყვას ამ ქალაქში და ამ ნაირად შამშილით დაიმორჩილოს ოსმან-ფაშის არმია.“

ზაზეთს „Journal de Genève“-ში და-ბეჭდილია აღრი-ნობოლიდამპი ენკენის-თვეს გაგზავნილი ტელეგრამა, რომელიც გვაცნობებს, რომ ამას წინათ, რო-ცა რუსის ჯარი პირველად ბალკანის მთებს აქეთ გადმოვიდა, თითქმის ყველა მცხოვრებლები აღრიანობოლისა, ვისაც კი შეეძლოთ, გაიქცნენ აქედამაო. მაგ-რამ ახლა, რაკი დარწმუნდნენო, რომ რუსის ჯარი ასე მალე და ასე ადვი-ლად ვერ მოადგება ანდრიანოპოლს, მცხოვრებლები ისევ თან-და-თან ბრუნ-დებიან და თავიანთ ჩვეულებრივ საქმე-ებს ჰკიდებენ ხელსაო.

## საქართველო

### დღიური

\* \* \* \* \* ოფილისის გუბერნიის თავად-აზნა-ურობამ ტელეგრამით მოულოცა მ. ი. შ. ძავეკასის არმიის მთავარ-სარდალს მუხთარ-ფაშაზე გამარჯვება და ამისათვის ხელმწიფე იმპერატორისაგან უმაღლესი სამხედრო ორდენის — წმ. ბიორგის პირ-ველი ხარისხის ჯვრის მიღება. ამ ტელეგრამის პასუხად ოფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლს თ. რ. ი. ანდრონიკაშვილს მოუვიდა დიდის თავადისაგან ტელეგრამა, რო-

არზოგავედა არაფერს, ოღონდ კი აეხვია მათთვის თვალები. ბალები, ბალებში ქეიფები და წარმოდგენები სულ ერთი-ერთმანეთზე მიდიოდა.

ჩვენ კი ისე განცალკევებული ვცხო-ვრებდით, რომ მარტო ხმა მოგვდიოდა ამ დიდი დროს ვატარებდით.

მაგრამ მე მომიხდა გამეზინჯა, გამიც-დის თუ არა ბედი, რომ უცხო ვინმე შემოვიყვანო ჩემს თავ-შენახულ ოჯახ-ში. ზამიტანს თუ არა ის, როცა დავა-ნახებ ჩემს დაუფასებელ საუნჯეს, — და გადავეკიდე ლიუბას, რომ მიეღო ლუბერ-ნატორის დაპატივება, რომელიც თავა-ზისათვის სხვათა შორის მეც მომივიდა. ზადაწყვეტილი უარი მითხრა, რომ სა-ბალო კაბა შეეკერა, და ჩაიცვა უბრა-ლო შავი აბრეშუმის კაბა გულ-ახდილი ზედაწელით, თავისივე ხელით გადაკეთე-

მელშიაც ის უძღენის მაღლობას მოლო-ცვისათვის და ავრეთვე ამ თავად-აზნა-ურთა დრუქინების მხედ და ერთგულად სამსახურისათვის.

\* \* \* \* \* „სასოფლო ზაზეთის“ სიტყვით, მთელს საქართველოში ამ ქამად სულ შევიდმეტი სასოფლო ბანკი (გამსესხებელ-შემნახველი ამხანაგობა) ითვლება. ამ რიცხვიდამ მართლში — 4: ოძისის, ბორ-ჯომის, ტყეიავის და ახალქალაქისა;

პანეთში — 5: შვარლის, საბუე-მნისლის, ნაფარეულისა, საგარეჯოს და ბურჯაან-ისა და

იმერეთშიაც — 5: სოფელ ჯიხაიშისა, ხვანკარისა, ონისა, შვირილასი და შუ-თაისისა. აქას გარდა ოფილისის ერთი და ერთიც ოფ-შშავ-ხევისურებში — ოი-ონეთისა.

\* \* \* \* \* ახალ-სენაკიდამ გვწერენ, რომ იქაური საქალებო შკოლის საქმე ამ უკანასკნელ დროს ისე ცუდათ მიდის თურმე, რომ, თუ ერთი რამ საშუალება არ იხმარეს, დღე-დღეზე დაკეტა მოელის. საქმე იმაშია, რომ, ჩვენის კორრესპონ-დენტის სიტყვით, იმ თავით ამ შკოლა-ში ორი მასწავლებელი-ქალი ყოფილა, ერთი რუსი და ერთი ქართველი. პირ-ველად ორთავეს კარგათ მიჰყავდათ საქ-მე და ოციოდე შაგირდი გულისმოდგი-ნეთ სწავლობდნენო. მაგრამ ბოლოს რუსის ქალს რალაც სხვა გასართობი გა-უჩნდა, დღე და ღამ იმას გადაჰყვა და შკოლა კი სრულიად დაივიწყაო. მარ-თველმა მასწავლებელ ქალმაც სრულე-ბით მიატოვა შკოლა.

ამ ნაირად ეს შკოლა ერთ დროს უპა-ტრონოთ ყოფილა დაგდებული. ახლა, თუმცა ის რუსის მასწავლებელი-ქალი ისევ დაბრუნებულია შკოლაში; მაგრამ შაგირდები აღარ ეკარებიანო.

ბული ამ შემთხვევისათვის. აღის-ფერი ყვავილები თმაში და გულზე ამშვენე-რებდა მის მორთულობას. და როდესაც ფერ-შკრთალი და გულ-გრილათ შემო-ვიდა ის ჩემს ოთახში, ამ მორთულო-ბით, მე მეგონა, რომ ჩემს გარეშემო ყველაფერი დაცოცავდა. წავეში იმის წინ მუხლებზე და დაუწყე კოცნა ხელებ-ზედ. ლიმილიც არ მოსვლია ჩემს ამ გვარ ალტაცებაზე; პირ-იქით, გამომტაცა გაჯავრებულმა ხელები და მითხრა:

— არ აჯობებს, რომ არ წავიდეთ? ან და მარტო შენ წახვიდე?

— მარტო? არა! ამის გაგონებაც კი არ მინდოდა. რათ მომეკლო ის ბედნი-ერება ჩემი თავისათვის, როცა მე ალტა-ცებული ვიქნებოდა ჩემი მშვენიერი ცო-ლის ყურებით! დასასრულ გამახსენდა უკანასკნელი მზადება ბალისათვის... ისე-

## „დროების“ კორრესპონდენცია

### ქუთაისი, 10

ექვსი წლის წინათ გამოჩნდა აქ ვილაცა კეთილი ბერძენი, რომელმაც მაღლი-სათვის ააშენა გვირგვინი კარგი სახლი და შესწირა მაშინ ახალ დაარსებულს ქალების უფასო სასწავლებელს. იმ დღი-დგან ეს სასწავლებელი იმყოფება ამ ბერძენისგან აშენებულს სახლში.

უფროსად სასწავლებლისა არის გიმ-ნაზის მასწავლებლის უფ. რეიმერის ცოლი, რომელიც, როგორც საქმიდგან ხანს, კარგად უელის სასწავლებელს. სასწავლებელი შესდგება ორი კლასისა-გან. მოსწავლეები სამოცამდის იქნება. აქ ასწავლიან რუსულს ენას, საღმრთო ისტორიას, არითმეტიკას, ქართულს ენას, გალობას და ხელ-საქმეს.

მოსწავლეები სულ დაბალი და ლა-რიბი ხალხის ქალები არიან. ამ სასწა-ვლებელში უნდა მოიხზადონ ხეირიანი დედები და ოჯახის ქალები და ამიტო-მაც დიდი ყურადღება არის მიქცეული ხელ-საქმეზე. მოსწავლეებს, იმას გარ-და, რომ იმათ სასწავლებლისთვის არას ახდევინებენ, ეძლევათ კიდევ სწავლის-თვის საჭირო ნივთები და მასთან მეო-რე კლასის შაგირდებს სადილი. სადი-ლობამდის სწავლობენ საგნებს და ნა-სადილოდ ხელ-საქმეს და გალობას.

ის ძირეულ კარგი და სასარგებლო სას-წავლებელია ქუთაისში. მაგრამ სამწუ-ხაროდ, ამ გვარს სასწავლებელში, სა-დაც ლარიბი და დაბალი საზოგადოების ქართველების ქალები სწავლობენ, ამ წლამდის კვირაში მხოლოდ ერთი გა-კვეთილი იყო ხოლმე ქართულის ენი-დგან; წელს კი კვირაში ორი გაკვეთი-ლია. ეს გარემოება მით უფრო გასაკვი-რველია, რომ ამ სასწავლებლის მზარუნ-

თი დრო იყო, რომ ყველაფერი უნდა მომგონებოდა, მაგრამ ისეთ აღძრულ მდგომარეობაში ვიყავი, რომ არ მივაქ-ციე ყურადღება მის მოწყენილ სახის გამომეტყველებას. ალტაცებული უელი-დი მე იმას გარეშემო და როგორც გამ-ზდელი უსწარებდი თვითუელს ნაოქს კაბისას, უწმენდლი მტვერს და სხვ.

— მაშ კარგი, მითხრა იმან ცოტა-ხნის სიჩუმის შემდეგ, რადგან შენ გასურს, ღმერთმა ჰქნას, რომ ბოლოს არ ინანო.

ისეთის ხმით წარმოთქვა ეს სიტყვები, რომ მე შევჩერდი და მოუხდომლობით დაუწყე ცქერა.

— წავიდეთ, წავიდეთ! ჩქარობდა ეს-ლა ის, რომელიც მე გულს მიკლავდა; მაგრამ ფიქრში გავლანძღე ჩემი თავი...

(გაგრძელება)

ველად არიან ქართველები, რომელთაც შეუძლიანთ ქართულ ენაზე იზრუნონ და გაკვეთილებს მოუმატონ. აწ ვიცი, რით ხელმძღვანელობენ ამ სასწავლებლის უფროსები! უკეთუ ქართულს ენას ამ სასწავლებელში ქართველი ქალებისთვის პედაგოგიურ საჭიროებადა ხედვენ, მაშინ ერთი და ორი გაკვეთილი კვირაში ვერავითარ პედაგოგიურ მოთხოვნილებას ვერ დააკმაყოფილებს, მეტადრე პირველ კლასში, და უკეთუ იმისთვის ასწავლიან, რომ უჩვენონ საზოგადოებას, აქაო-და, ქართულს ენას ვასწავლითო, მაშინ ესეც რა საჭიროა! მინა ჰყავთ წინააღმდეგი, ძალაც მავათ ხელშია და სამართალიც....

ამაზე უფრო სამწუხარო სურათს წარმოგიდგენს ჩვენ, ქართული ენის სწავლების შესახებ, აქაური გიმნაზია, სადაც, თამამად შემძლია ესტევა, სრულიად არ არის ქართული ენის სწავლება. მართალია, გაკვეთილებს მოუმატეს წელს: შარშან მარტო მოსამზადებელს და პირველს კლასში ასწავლიდნენ ქართულს, წელს პირველში, მეორეში და მესამე კლასებში ასწავლიან, მაგრამ უკაცრავად—ასწავლიან კი არა, დანიშნულია სწავლება. მაგრამ რა გამოდის ამისთანა სწავლებისგან?

ნათქვამია: „ვისიც სიკვდილი გინდოდეს, სასთუნალი გამოაცალეო!“ მს ანდაზა მომაგონდება ხოლმე მუდამ, როცა წარმოვიდგენ აქაური გიმნაზიის ქართული ენის მასწავლებელს და მის სწავლებას. აქ ქართულს ენას ასწავლის ისევე ის წარდგენს მომლოდინე მამა დეკანოზი, ადამის წლის მეთოდითა და

ენით, რომელიც თქვენს გაზეთშიაც რამდენიმეჯერ იყო მოხსენებული.

პორტოხა

# უსხო ქვეყნები

## საზრანგაში

რესპუბლიკური პარტიის კომიტეტის გამოცხადებულ ვეტოებზე, რომ 2 დღისთვის სულ 321 რესპუბლიკელი კანდიდატი ამოურჩევით დეპუტატთ; ამას გარდა 4 კანდიდატის ამორჩევას კალონებში მოვლიან, შეიღისას ხელმეორედ კენჭისყრის დროს და ორიც რესპუბლიკელი შეცდომით კონსერვატორებს დაუსაკუთრებიათ; ასე რომ მომავალს ნაციონალურპრებაში რესპუბლიკელი უმრავლესობა 335 დეპუტატს შეადგენს და დანარჩენი (უმცირესობა) 220-მდინ კონსერვატორები იქნებიან.

— ამ კენჭისყრის დროს, ოფიციალურის ანგარიშით, რესპუბლიკელ კანდიდატების სასარგებლოდ სულ—4,313,000 ამომრჩეველს ჰაუგდიათ თეთრი კენჭი კონსერვატორებისათვის კი—3,636,000; ასე რომ რესპუბლიკელებს 677,000 მომეტებული თეთრი კენჭი მიუღიათ. შარშანდღის კენჭისყრაში რესპუბლიკელებმა მიიღეს 4,030,000 ხმა, კონსერვატორებმა კი 3,160,000.

## ოსმალეთი

სტამბოლელი კორრესპონდენტი რუსული გაზეთის „Голосъ“-ისა გვაცნობებს, რომ გასული ენკენისთვის დამლევს იქ მისულა შარშანდღის რევოლიუციური კომიტეტისგან დანდობილი კაცი, რომელმაც ოსმალეთის მთავრობას პოლ-

ის შესახებ პოლიტიკურ საქმეებზე უნდა მოელაპარაკოს. ამ პარწმუნებენო აქ, ამბობს ხსენებული კორრესპონდენტი, ვითომც პოლშიში შემდგარა საიდუმლო რევოლიუციური მმართველობა, რომელსაც რუსეთის დამოკიდებულებისაგან განთავისუფლების განზრახვა აქვს, და ეს აგენტიც ამ მმართველობისაგან არის აქ გამოგზავნილიო.

## თფილისის სამკურნალო

(4-ს აპრილის სახსოვრად)

ქრევის მაედანზე, წინამძღვაროვის სახლებში. ავთამყოფებს მიიღებენ ყოველ დღე, კვირას გარდა, დღის 8 საათამდ დღისხვე 10 საათამდინ.

მრ შ ა ბ ა თ ს: ექიმი მინკევიჩი — ხირურგიულ ავთამყოფობისათვის, ბარალევიჩი და ლისიცივი — შინაგანი ავთამყოფობისათვის.

ს ა მ შ ა ბ ა თ ს: მერმიშვილი და მარკაროვი — შინაგანი ავთამყოფობისათვის, ტამაშვილი — თვალის ექიმი.

მ თ შ ა ბ ა თ ს: ლისიცივი — შინაგანი ავთამყოფობისათვის, მუხარბანი — ვენერიული ავთამყოფობისათვის.

ხ უ თ შ ა ბ ა თ ს: მერმიშვილი — შინაგანი ავთამყოფობისათვის.

პ ა რ ა ს კ ე ვ ს: ლისიცივი და სსატუროვი — შინაგანი ავთამყოფობისათვის და მინკევიჩი — ხირურგიულითვის.

შ ა ბ ა თ ს: მერმიშვილი და მარკაროვი — შინაგანი ავთამყოფობისათვის, მუხარბანი — ურის და ხირურგიულ ავთამყოფობისათვის და ტამაშვილი — თვალის ავთამყოფობის

# განცხადებანი

დაიბეჭდა და გამოვიდა

# ოქის სივლა

და სხვა ლექსები. შასი ყველგან ერთი შაური. თქმული ღვეით ბივიშვილისაგან.

რბ.	გზა.	დილა.	სალამ.	II კ.	III კ.	ტელეგრაფი	მ. კაპ	ბირჟა	მან. კაპ	გაზანდა	მან. კაპ
თფილისი	9 21	5 18				მცი სიტევა თფილისიდან:		პეტერბურგი, 14 ღვინობ.		თფილისი, 15 ღვინობ.	
მცხეთა	10 11	6 27	68	38	მუთაისს, შოთს	1	პრთი ქანეთი ღვინობ.		შქვ. თფ. ბანჯისა, ფთ.	190	
ზორი	11 58	9 43	2 40	1 23	ზორს, ღუშეთს, სიღნაღს	50	ლონდონში 24 პენსი.	78	შქვილი წითელი.	145	
ხაშური	1 29	11 57	3 92	2 18	როსტოვს, მდესას, მოსკოვს	2	პარიჟში 250 სანტიმი.	81	შერი ფუთი.	125	
სურამი	1 44		4 42	2 46	პეტერბურგს, შარშავას	2	მსკონტი (სარგებლობისთვის)	71 1/2	ბაშა ქრევისა, ფუთი	820	
შვირილა	5 49		5 81	3 23	ოსმალეთში, შვეიცარიაში	3	ბანკის ბილეთი 5%	94 50	— ამერიკისა, ფუთი.	850	
რიონი	6 47		6 75	3 75	იტალიაში და საფრანგეთში.	3 50	მოგებიანი (პირველისესხი)	207 25	ბაშენტილი ბაშა ფთ.	950	
სამტრედია	7 41		7 73	4 29	ინგლისში	3 75	მოგებიანი (მეორე სესხი)	202 50	მატყელი თუშური ფთ.	7	
ახ.-სენაკი	—		8 57	4 76	ფოშტა		ბირაოს ფურცლები:		— თარაქამისა ფთ.	350	
შოთი	9 40		9 75	5 42	ა) თფილისიდან: სამზღვარ გარეთ, მუთაისს, რუსეთს — ყოველ დღე კვირას გარდა. ზუგდიდ. ორშ. და სამშ. მზურ. — პარასკ. და ორშ. ძახეთს — სამშ. და შაბ. ბ) მუთაისიდან: თფილისისა და შოთისაკენ — ყოველ დღე, კვირას გარდა. მზურგეთს — ორშ. და პარასკ.		თფილ. საზან. ბანკისა.		აბრეშუმი ნუხური სტ.	3	
შოთი	9 13				წიგნის გაგზავნა რუსეთში და სამზღვარ გარეთ;		ხერსონის ბანკის (5%)	85 25	შონი, ფუთი.	580	
ახ.-სენაკი	—		1 18	66	ლა წიგნის	4	მოსკოვის (5%)	85 50	შონის სანთელი ფუთი.	8	
სამტრედია	11 16		2 6	1 14	დაბეჭდილის (სამი მისხალი)	8	აქ ციებო:		სტეარინის სანთელი, ფ.	1254	
რიონი	12 13		3 4	1 69			მდესის სავაჭრო ბანკის	177	ხორცი ძროხისა, ლიტ.	54	
შვირილა	1 18	ლაშე	3 98	2 21			შოთი-თფილ. რკინ. გზის	—	— ცხვრისა, ლიტრა	63	
სურამი	5 12	1 10	5 33	2 96			შაი ზღვის ცეცხ. გემები	527	სპირტი, გრადუსი	12	
ხაშური	5 39	1 37	5 84	3 24			ძავეჯის და მერკურის	225	— შხვნილი ფუთი	720	
ზორი	7 5	4 87	3 64	9			პირგ. საზღვევ. საზოგ.	745 50	შავა გრვანლი, ფუთი	26	
მცხეთა	8 50	6 59	9 85	4			პეტერბ. საზღვევ. საზოგ.	235 50	ზეთი ქუნჯუთისა ფუთ.	12	
თფილისი	9 31	7 56	9 75	5 42			მოსკოვის საზღვევ. საზ.	268	მქრო 1/2, იმპერიალი.	828	